მატჩი ტაშკენტში

ტაშკენტი. “ფახთაქორის” სტადიონი. 21 ნოემბერი.

“ფახთაქორი” (ტაშკენტი) – “დინამო” (თბილისი) 3:0 (3:0).

“ფახთაქორი”: იანოვსკი, კისერა, გესი (სელიმჯანოვი), ახმედოვი, ??ნისოვი, ივანოვი, ბონდარენკო, ბეკულოვი, ვოლკოვი, ნოვიკოვი, კა??.

“დინამო”: აბუსერიძე, კეტაშვილი, ჩივაძე, პაიკიძე, არზიანი, კაკილაშვილი, ჟორდანია (მახარაძე), ჭედია, გუცაევი, ცაავა (მესხი), შენგელია.

მსაჯი: ა. ხოხრიაკოვი (იოშკარ–ოლა).

დუბლიორები – 2:2. დინამოელთაგან ბურთები გაიტანეს ჩქარეულმა და ჟვანიამ.

ტაშკენტელმა ფეხბურთელებმა საუკეთესოდ ჩაატარეს მატჩის პირველი ნახევარი. ისინი ენერგიულად, მონდომებით უტევდნენ და ?? წუთზე ანგარიშიც გახსნეს: ფლანგიდან მოწოდებულ ბურთზე სწრაფად გავიდა წინ გესი და ზუსტადაც დაარტყა – 1:0. ათიოდე წუთის შემდეგ კაბაევმა ახლო მანძილიდან მეორე ბურთი გაიტანა, ხოლო ტაიმის დასასრულს ნოვიკოვის წინააღმდეგ უხეშად ითამაშა კეტაშვილმა და 11–მეტრიანი უშეცდომოდ დაარტყა იმავე ნოვიკოვმა – 3:0.

შესვენების შემდეგ თბილისელებმა შედარებით უკეთ ითამაშეს, მაგრამ ვერ შეძლეს “ფახთაქორის” დაცვის დაძლევა და დიდი ანგარიშით წააგეს ჩემპიონატის ბოლო მატჩი.

“ლელო”, 22 ნოემბერი, 1984 წ.